№27 (136), 1999 წ, 6 აგვისტო 16 გვერდი, გამოდის პარასკევობით ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია






*ეს კროსვორდი მხოლოდ იმ უცხოური სიტყვებითაა შედგენილი, რომლებიც ჩვენს ენაში კარგა ხნის დამკვიდრებულია; ჩვენ არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ მათი შემოტანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა, რადგან თითქმის ყოველ მათგანს უკვე მხოლოდ მისი კუთვნილი ელფერი აქვს შეძენილი; მაგრამ მაინც... ეგებ ერთხელაც დავფიქრდეთ — საჭირო იყო ყოველი მათგანის სესხება?!*

**1**. გვერდითი მსაჯი. **2**. სრული, ყოვლისმომცველი. **3**. შემოწმება. **4**. ქონდრისკაცი. **5**. ალმასი, ძვირფასი ქვა. **6**. უძრავი, უმოძრაო. **7**. ნარევი ხსნარი. **8**. თოჯინა. **9**. ფულის ამკრეფი. **10**. ავგაროზი, თილისმა. **11**. იდუმალი პიროვნება. **12**. მხატვრული იერი, ელფერი. **13**. დიდი ხეივანი. **14**. სამკურნალო დაწესებულება. **15**. მეფობა და მღვდელთმთავრობა ერთი კაცის ხელში. **16**. ჯამუშთა ქსელი. **17**. გარემომცველი ვითარება. **18**. ეგა-სიდი. **19**. ასაფეთქებელი ნივთიერების დამზღების საქმე. **20**. უმცროსი მეცნიერი-მასწავლებელი. **21**. არსებული წყობა, ვითარება. **22**. შიკრიკი, მალემსრბოლი. **23**. განვითარების უმაღლესი წერტილი. **24**. დაცინვა, გამასხრება. **25**. კაცთმოყვარე. **26**. საჰაერო (წინსართი). **27**. ტაკიმასხარების გამოსვლა ცირკში. **28**. ზღვა-ოკეანეებით შემოსაზღვრული ხმელეთი. **29**. განაყოფიერებული უჯრედი. **30**. ხმის მეძებარი. **31**. უმცირესი ნაწილაკი. **32**. ძალიან ძველი (წინსართი).

## სენტენციები

*შესაძლებელი რომ ყოფილიყო - ინგლისელისთვის ლაპარაკი გვესწავლებინა, ირლანდიელისთვის კი — მოსმენა, დიდი ბრიტანეთი სავსებით ცივილიზირებული ქვეყანა იქნებოდა.*

ოსკარ უაილდი (იხილეთ მე-13 გვერდი)

# კროს-რეიტინგი

1. ქვეითი ჯარის ასეულის შესაბამისი კავალერიის ქვეგანაყოფი *(5)*. 2. XX ს ლიტვის სახალხო პოეტი *(9)*. 3. რომელიმე ქსოვილის ან ორგანოს დაპატარავება *(7)*. 4. ჩვენებური პურის ნაწილი *(2)*. 5. კოვბოების საცხენოსნო-სპორტული შეჯიბრი *(7)*. 6. აქემენიდების სახელმწიფოს სამი დიდი მეფის საერთო სახელი *(10)*. 7. თანამედროვე რუსული კინოს მსახიობი, ვერა... *(8)*. 8. ზმნასთან დაკავშირებული გრამატიკული კატეგორია *(4)*. 9. ოთხკუთხედების სახით ნაკეთები (ნახატი, ნაქარგი, ქსოვილი) *(4)*. 10. ცხოველთა ხმების შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერება *(9)*. 11. ევროპის ახლადწარმოქმნილი სახელმწიფო *(5)*. 12. ძველად მას კვართი ერქვა *(3)*. 13. ავტორი რომანისა „ვიკონტ დე ბრაჟელონი" *(4)*. 14. ადამიანთა სამსახურეობრივი გაერთიანება *(3)*. 15. საინფორმაციო ურთიერთგაცვლის გარემო *(4)*. 16. ძველად მას მუნეჯიმი ერქვა *(7)*. 17. ამერიკული წარმოშობის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი *(6)*. 18. თბილისის გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი *(7)*. 19. **იხილეთ ფოტო №1** *(7)*. 20. თანმხლები პირები *(4)*. 21. ბრეგაძეების „საყვარელი" საკვები *(2)*. 22. ინგლისურად ამ ფრინველს „თურქული" ჰქვია, ჩვენ კი სხვა ქვეყანას დავუკავშირეთ... *(3)*. 23. საკვლევი-სამკურნალო დაწესებულება *(4)*. 24. ბერნჰარდ კელერმანის რომანი *(7)*. 25. ანტილოპების ჯგუფის ცხოველი *(7)*. 26. პარფიუმერული სითხე *(4)*. 27. თანამედროვე ქართულში ამ სიტყვას არაბული „იღბალი" ენაცვლება *(4)*. 28. „შოკოლადის ხე" *(3)*. 29. არაბულსა და სპარსულ ენებში ეს სიტყვა „ჭეშმარიტების" გამომხატველია, ჩვენში კი „ვარაუდის" მნიშვნელობით დამკვიდრდა *(3)*. 30. დიდი ინგლისელი ფიზიკოსი, ელექტრომაგნიტური ველის სწავლების ფუძემდებელი *(7)*. 31. ცხოველებთან დაკავშირებული ანუ როგორი? *(7)*. 32. ახლანდელი ნორვეგიელი ფეხბურთელი ტორე ანდრე.... *(7)*. 33. რუსეთის ჩრდილოური ქალაქი *(4)*. 34. **იხილეთ ფოტო №2** *(7)*.



პასუხები იხილეთ მე-15 გვერდზე

*02-40 ქულა - დამწყები კროსვორდისტის შედეგი*
*41-80 ქულა - კარგია, მაგრამ მეტი შეგიძლიათ...*
*81-120 ქულა - თქვენ ოსტატი ბრძანდებით!*
*121-160 ქულა - იმსახურებთ კროსმაისტერის ტიტულს!*
*161-178 ქულა - ბრავო, მაესტრო!*










## *ორიოდ (სარედაქციო) სიტყვა „ახალი სეზონის" დასაწყისში*

...რაგინდარა წეს-წყობილებანი და „იზმები" თუ „კრატიები" არ უნდა იცვალოს ჩვენს მიწა-წყალზე, სექტემბერი ყოველთვის განახლებული ცხოვრების დასაწყისად დარჩება ჩვენთვის, აკი ამიტომაც ითვლებოდა ოდესღაც ჩვენს ქვეყანაში „ენკენისთვე" (სექტემბერი) ახალი წლის დასაწყისად. ასე რომ, ჩვენს სარედაქციო საქმიანობაშიც ეს განრიგი დავამკვიდრეთ - შემოდგომის პირს ახალი ელფერით ვმოსავთ ჩვენს საქმიანობას.

პირველი სიახლე გაზეთის ტევადობის ზრდას უკავშირდება - ამიერიდან „ფანტაზია" იქნება 12-16 გვერდიანი, რასაც ავტომატურად და იძულებით მოჰყვა მეორე, ნაკლებად მისასალმებელი, სიახლეც - გაზეთის ფასი 30 თეთრი გახდა.

მესამე - ჩვენ საბოლოოდ ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ფუნქციონალური სტატუსი და კატეგორიულად გადავწყვიტეთ, რომ ეს

*ორიოდ (სარედაქციო) სიტყვა „ახალი სეზონის" დასაწყისში*

გაზეთი არასოდეს იქნება კომერციული დანიშნულების გამოცემა; ეს იმას ნიშნავს, რომ არანაირი რეკლამა და მისი მსგავსი დასავლური „შემონაშთი" აქ არ გაიჭაჭანებს. მართალია, ჩვენი სახელოვანი მეწარმეები კარს არ გვიტალახებენ სარეკლამო მოთხოვნილებებით, მაგრამ ის ანეკდოტი ხომ გახსოვთ, ძუკუ ქალაქის ცენტრში რომ იჯდა და ტაშტზე ქვას რომ არახუნებდა...

— რას შობიო, ძუკუ?! - გაიოცა გამვლელმა.

— ნიანგებს ვაფრთხობო! — უპასუხა ძუკუმ.

— მერე-და სადააო ამ შუა ქალაქში ნიანგი?! - კვლავ გაიოცა გამვლელმა.

— რომ ვაფრთხობ, მიტომ არააო! — კვლავ უპასუხა ძუკუმ.

...ერთის სიტყვით, ჩვენ საბოლოო და კატეგორიული გადაწყვეტილება მივიღეთ — ვიზრუნოთ თქვენს ინტელექტუალურ დასვენებაზე!

*უნგრული კროსვორდი*

# ფერწერა

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ე | ბ | გ | ო | ძ | ი | ა | ა | ვ | ა | ჯ | ო |
| ი | ტ | ი | კ | ე | ს | ი | შ | რ | ა | კ | ს | ი |
| ნ | ჟ | ი | ს | ა | ა | ი | ვ | ი | ლ | ი | ი | კ |
| ე | ო | ვ | პ | ლ | ბ | ც | ნ | ე | რ | რ | ი | ე |
| ლ | ი | დ | ე | ე | ვ | ე | ს | ი | ო | ო | ს | ი |
| ო | ფ | ე | რ | ი | ა | რ | ი | ო | ლ | ფ | კ | ს |
| ს | ო | ფ | ო | ს | ბ | პ | მ | ნ | გ | ე | ი | ნ |
| | | | | | ა | კ | ი | ი | ჩ | რ | ნ | ე |
| | | | | | მ | ე | მ | ზ | ე | რ | ი | ს |
| | | | | | ო | ლ | ი | ა | ვ | ო | კ | ე |
| | | | | | ლ | ლ | ე | ზ | ე | ნ | ა | ნ |
| | | | | | ბ | ტ | ი | ა | დ | ნ | ი | ზ |
| | | | | | ე | რ | ჯ | ო | კ | ო | ვ | ო |



*ზოგ ზაგისებრად ჩაწერილი სიტყვების ამოკითხვის შემდეგ ჩარჩოში დარჩება რვა გამოუყენებელი ასო, რომლებმაც აღორძინების ეპოქის დიდი მხატვრის გვარი უნდა შეადგინონ.*

1. კროსვორდის ჩარჩოს კუთხეში განლაგებული ნახატი, რა თქმა უნდა, რემბრანდტს ეკუთვნის, თუმცა ჩვენ ამჟამად ამ ნახატის სახელი გვაინტერესებს.

2. აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი მხატვარი, ვენეციური სკოლის წარმომადგენელი, პაოლო... 1528-88

3. ამ ქალის ღიმილი მარადიულ გამოცანად დარჩა კაცობრიობისათვის, თუმცა ამჯერად ჩვენ მისი პორტრეტის მეორე სახელი გვაინტერესებს.

4. მხატვრის სამუშაო ინვენტარი.

5. ქართველი მსახიობი, რომელიც ძალზედ ცუდად ერკვეოდა რუბენსის პირად ცხოვრებაში.

6. ქართველი მოქანდაკე და გრაფიკოსი, ქალბატონი თამარი.

7. რეპინი, სურიკოვი, ვასნეცოვი, შიშკინი და სხვები... რა ჰქვათ მათ ყველას ერთად?

8. ქალაქი, სადაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამხატვრო გალერეა, უფიცი, მდებარეობს.

9. რუსი პოეტი, რომელმაც ჩვენი გენიალური მხატვრის შესახებ პოპულარულ სიმღერად გარდაქმნილი ლექსი შექმნა.

10. მიმდინარეობა მხატვრობაში, რომლის საფუძველს შემოქმედის პირადი შთაბეჭდილებები განსაზღვრავდა.

11. ესპანეთის მონარქის ფილიპე IV-ის სამეფო კარის მხატვარი.

12. XX ს მექსიკელი მხატვარი-მონუმენტალისტი, რომლის საქმის გამგრძელებლადაც ბატონი ზურაბ წერეთელი ითვლება.

13. პაბლო პიკასოს ყველაზე ცნობილი ნახატი.




*თემატური კროსვორდი*

# ლიტერატურა



1. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ლიტერატურული პროფესია **(2)**. 2. ლიტერატურული პროფესია, რომელიც მთხრობელობასთან არის დაკავშირებული **(7)**. 3. ავტორი უძველესი ტრაგედიისა, „მედეა" **(5)**. 4. ერთ-ერთი ისტორიული ციხე-სიმაგრე, რომელიც მოხსენიებულია „დიდოსტატის მარჯვენა"-ში **(7)**. 5. როგორი „ლანდები"-ა აღწერილი ერთი ცნობილი ქართველი მწერლის რომანში (ავტორს შეგნებულად არ ვასახელებთ) **(6)**. 6. სახელი XIX ს ამერიკელი მწერლისა, გვარად ირვინგ-ისა? **(8)**. 7. „შორი თეთრი" რა არის აღწერილი რევაზ ინანიშვილის ცნობილ მოთხრობაში? **(6)**. 8. (ბატონი) მიმინოშვილი, ქართულ ენაზე მთარგმნელი ძველბერძნული ლიტერატურის ძეგლებისა **(5)**. 9. თქვენის აზრით, ვინ არის მთარგმნელი XV ს სპარსელი პოეტის აბდორ-რაჰმან ჯამის შემდეგი ლექსისა ქართულ ენაზე:

*„გული — წყაროა, ლექსი — გულის წყაროს წყალია,*
*ლექსის ამღვრევა — ამღვრეული გულის ბრალია...."(8).*

10. მთავარი მოქმედი პირი ლერმონტოვის პიესისა „მასკარადი" **(7)**. 11. მარჯვენა ქვედა კუთხიდან მსახიობი მარინა ვლადი გვიმზერს, მან ითამაშა მთავარი როლი ცნობილ ფილმში „ჯადოქარი", თუმცა ჩვენ ამ ფილმის ლიტ. პირველწყარო გვაინტერესებს... **(8)**. 12. სასიყვარულო ურთიერთობის სახესხვაობა, რომელიც (ვთქვათ) ფატმანმა ავთანდილთან გაითამაშა **(4)**. 13. რა „ტიტული" შეიძლება შეიძინოს ლიტერატორმა, თუ იგი ამა თუ იმ პოლიტიკური მრწამსის „რუპორი" გახდა? **(6)**. 14. რუსი საბავშვო მწერალი, ავტორი „ჩებურაშკას" შესახებ არსებული ისტორიებისა **(8)**. 15. XIX ს რუსი პოეტი, მოგვარე დიდი მხატვრისა **(8)**. 16. ავტორი პიესისა „კეისარი და კლეოპატრა" **(7)**. 17. მწვალებლის სახესხვაობა, რაც XVIII-XIX ს მარკიზის ტიტულის მქონე ერთი ფრანგი მწერლის გვარს უკავშირდება **(8)**. 18. როგორი ბიჭუნა იქნებოდა თავის დროზე (ვთქვათ) კირილე მიმინაშვილი? **(5)**. 19. რა ჰქვია ეგ. ნინოშვილის მოთხრობის გმირს, (მავან) მუნჯაძეს? **(5)**. 20. რა გარემოა ასახული დრამატურგ დალი როსებას ერთ არათბილისურ „ამბავში"? **(6)**. 21. დიდი გერმანელი პოეტი **(5)**. 22. ყველა წიგნისა და ლიტერატურის სათავე **(3)**. 23. რა ერქვა ავტორს ცნობილი პიესისა „ფუენტე ოვეხუნა" (ცხვრის წყარო)? **(7)**. 24. კარელიურ-ფინური ეპოსი **(8)**. 25. რა ჰქვია ალუდა ქეთელაურის ცოლს? **(6)**. 26. რუსი მწერალი, ავტორი დილოგიისა „პორტ-არტური" **(8)**. 27. ვიქტორ ჰიუგოს ყველაზე ცნობილი რომანის პერსონაჟი კლოდ (.......) **(7)**.




(პასუხები იხილეთ მე-15 გვერდზე)

02-40 ქულა - დებიუტანტის მცდელობა
41-80 ქულა - ოსტატობის კანდიდატი
81-120 ქულა - ოსტატი
121-160 ქულა - დიდოსტატური შედეგი
161-170 ქულა - **ბრავო, მაესტრო!**

# სუპერკროსვორდი 134 სიტყვა

**თარაზულად:**

**1**. უნგრელი პოეტი, რომლის ლექსები დიდებულად თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ. **4**. რა არის გაერო, შიდსი, სდასუ... **9**. თანამგრძნობი ადამიანთა თავშეყრის სახელობა. **15**. შესანიშნავი ჰოლივუდელი მსახიობი... „ნიურნბერგის პროცესი", „მატარებელი", „ლეოპარდი" და სხვა... **16**. ადამიანის წარმოშობისა და რასების შემსწავლელი მეცნიერი. **17**. სამკურნალო მცენარე. **20**. ჰენრიხ შლიმანის მიერ აღმოჩენილი უძველესი ქალაქი. **21**. თანამედროვე ტექნიკაში ფართოდ გამოყენებული ხელოვნური ნივთიერება. **22**. ადამიანის უძველესი განმარხებული სახეობა. **25**. „მძინარე" არსება ევროპული ფოლკლორიდან. **26**. რომის ერთ-ერთი ბორცვი. **30**. წვრილებით მოვაჭრე ალ.ტოლსტოის ცნობილი საბავშვო მოთხრობიდან. **31**. ძველრომაელი სარდალი, რომლის სახელი სპარტაკის აჯანყების ჩახშობას უკავშირდება. **32**. ხალხის რჩეულთა მიერ შექმნილი დროებითი ორგანო. **36**. პუშკინის ცნობილი ზღაპრის პერსონაჟი, მეფე სალთანის ვაჟიშვილი. **37**. ამ საგანს ძველქართულად ანდამატი ერქვა. **38**. ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მემატიანე. **43**. მსოფლიო მულტიპლიკაციური კინოს ლეგენდა. **44**. ძეწკვზე დასამაგრებელი სამშვენისი. **45**. ჭაბუა ამირეჯიბის მიერ შექმნილი დიქტატორის სახელი. **46**. ლეო დელიბის ოპერა. **49**. ჩრდილოეთ პალესტინის ისტორიული ოლქი. **50**. ამ სიტყვას ქართულად ზოგჯერ „ბობოლა" ენაცვლება. **51**. 1982 წლის საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი. **52**. თბილისის ფეხბურთელთა გუნდი. **57**. ავტორი რომანისა „ცრუ ნერონი". **59**. ქართველი მსახიობი, რომელმაც ლეონიდ კურაველიოვს „პარასკევობა" გაუწია. **62**. ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში. **63**. ლუი XIV-ის მიერ აგებული სასახლე პარიზში. **64**. ექიმი, რომელმაც თავისი გვარი გონებასუსტთა ერთ-ერთ ავადმყოფობას „დაანათლა". **65**. არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი 1946-55 წლებში, რომელსაც ცოლმა გაუთქვა სახელი მთელ მსოფლიოში. **69**. ფსიქიური შეტევის სახესხვაობა. **70**. მსახიობთა გარკვეული ნაწილის სამოღვაწეო სივრცეც და გარემოც. **71**. ფიფა-ს ახლანდელი პრეზიდენტი. **76**. ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქალაქი ყოფილი გდრ-დან. **77**. ევროპული არქიტექტურის თავისებური „ფენომენი", სახურავქვეშა სივრცე. **78**. ჰოლივუდელი კინოვარსკვლავი... „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა", „მაიერლინგი" და სხვა... **79**. 1998 წლის ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი. **82**. ეგრეთწოდებული „მწყემსური პოეზია". **83**. აშშ-ს შტატის, აიოვას, ადმინისტრაციული ცენტრი (ტირე მხედველობაში არ მიიღება). **84**. პირველი ანტიბიოტიკი, რომელიც ალექსანდრე ფლემინგმა 1929 წელს სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა. **87**. პირველი ორთქლმავალის შემქმნელი. **88**. ლიტვის წარმოების ტელევიზორი. **89**. სხვადასხვა დანიშნულების ვაგონებისაგან შემდგარი მატარებელი. **93**. ის, რასაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ..... **94**. „კამხალი მდინარე ამსტელზე" - ერთი სიტყვით. **96**. ინდუისტების და ბუდისტების მომლოცველობის ცენტრი ჩრდ. ინდოეთში. **99**. პროფესია კაცისა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში ყველა უსმენდა. **100**. საზეინკლო იარაღი. **101**. თანამედროვე ხუთჭიდის შემადგენელი ნაწილი. **102**. ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრების შავკანიანი წევრი. **107**. სომხეთის მიწისძვრის მსხვერპლი ერთ-ერთი ქალაქი. **109**. ქიმიური ელემენტი. **110**. ბანქოს ქაღალდების გასართობი მარტოხელებისათვის. **113**. ბულგარეთის ფულის ერთეული. **114**. ლაზარიას როლის შემსრულებელი ფილმში „დაკარგული სამოთხე". **115**. ფრანკთა სახელმწიფოს ლიდერი, რომელმაც 732 წელს არაბთა წინსვლა შეაჩერა პუატიესთან ბრძოლაში. **119**. უდანაშაულობის საბუთი. **120**. ქალაქი ბოლივიაში. **121**. პერსონაჟი, რომლის როლი კინოში განსახიერებული აქვთ: ბ.ზაქარიაძეს, რ.ჩხიკვაძეს, ი. ტრიპოლსკის... **122**. სანახაობა, რომელიც ჭირის დღესავით სძულდა ერნესტ ჰემინგუეის. **127**. ავტორი რომანისა „451° ფარენჰეიტით". **128**. მოღალატე თავადი „ბაში-აჩუკიდან". **129**. დახურული სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან კვებითა და ძილით. **130**. 1596 წლის საეკლესიო გაერთიანება, რომელიც ბრესტის სახელს ატარებს. **131**. კუნძულების მრავალრიცხოვანი ჯგუფი წყნარ ოკეანეში. **132**. ფოტოგრაფიის უძველესი სახეობა.

**შვეულად:**

**1**. ყველაზე სწრაფი თამაში მსოფლიოში (ბურთის სიჩქარე აღწევს 250 კმ/სთ-ს, გავრცელებულია ბასკეთში). **2**. ვაგნერის ოპერა. **3**. გერმანელი ქალბატონებისადმი მისამართი სიტყვა. **5**. სოფელი ხევსურეთში. **6**. ღვთაება, რომელმაც წლის დასაწყისს დაანათლა თავისი სახელი. **7**. რა შეიძლება უძღოდეს წინ „ინკოგნიტოს" წინ? **8**. იგივეა, რაც ქვეწარმავალი. **10**. სამოსის ფასონი, რომლის სახელო და მხარი ერთი ნაჭრისაგანაა გამოჭრილი. **11**. პანამის ფულის ერთეული. **12**. ქალაქი, სადაც მეორე მსოფლიო ომის ყველაზე დიდი ბრძოლა გაიმართა. **13**. თანამედროვე რუსი კინომსახიობი, ირინა... კონსტანცა ბონასიეს როლის შემსრულებელი ფილმში. **14**. დაფიქრება, შინაგანი ჭვრეტა. **18**. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პერსონაჟის გვარი. **19**. ვინ იყო პუშკინი ჰანიბალისათვის? **23**. ედმუნდ ჰილარის და ნორგეი თენცინგის საერთო „პროფესია". **24**. ხელოვნური ბოჭკო, რომელსაც შემდეგმა ორგანიზაციამ – **Лаборатория высокомолекулярных соединений Академии наук** – „დაანათლა" სახელი. **27**. რა სახელი აერთიანებს ახლანდელ ქართულ პოლიტიკას და ძველ რუსულ ფეხბურთს? **28**. მოსკოვის უბანი, რომელმაც რუსულ ტელევიზიას „დაანათლა" სახელი. **29**. კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენელი. **33**. პოეტი, რომლის ძეგლი მცხეთა თბილისის გზაზე დგას. **34**. კლოუნთა გამოსვლა ცირკის არენაზე. **35**. ქიმიური ელემენტი. **39**. თანამედროვე რუსი მწერალი, პროზაიკოსი. **40**. კუნძული სან-ფრანცისკოს მახლობლად, სადაც 1868-1933 წლებში აშშ-ს ფედერალური ციხე იყო განლაგებული. **41**. მოსკოვის „სპარტაკის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. **42**. ცენტრს მოშორებული რეგიონი. **47**. ქალაქი უზბეკეთში, რაიონული ცენტრი სურხანდარინის ოლქში. **48**. რძეში მოხარშული ცომი. **53**. ფსევდონიმი კომპოზიტორისა, რომლის ნამდვილი გვარი ებერშტი იყო. **54**. ესპანურენოვანი სამყაროს ყველაზე პოპულარული მომღერალი. **55**. ძალიან გამხდარი და სუსტი ბავშვის მოსახსენიებელი სიტყვა. **56**. XX საუკუნის ანტიფაშისტი ესპანელი პოეტი, რაფაელ... **58**. ფერდობზე განლაგებული პატარა მოედანი. **60**. გოგოლისეული პერსონაჟი, რომელიც თეატრში დიდებულად განასახიერა ვასო გოძიაშვილმა. **61**. თარგმნეთ ფრანგულად „წმინდა მარიამი"... არქიტექტურის გათვალისწინებით. **66**. შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ესპანელი მხატვარი. **67**. ორანძიანი მსუბუქი ხომალდი. **68**. ორგანიზმის ზედმეტი მგრძნობიარობა რაიმე გამაღიზიანებლის მიმართ. **72**. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 570-478 წწ.-ში მცხოვრები ძველბერძენი პოეტი. **73**. (.....) ჯიგარხანიანი. **74**. დაძაბულობა, სიხშირე... კიდევ? **75**. (კიდევ ერთი) შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ესპანელი მხატვარი. **80**. ვინ შეიძლება იყოს პეტრე პავლესათვის, თუ ერთი მეორის შემცვლელია? **81**. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე. **82**. პირველი ქართველი დიპლომატიური წარმომადგენელი რუმინეთში. **85**. სკანდინავიურ ფოლკლორში მიწისქვეშა განძეულობის მცველი. **86**. ორგანიზმის მოცემული სახეობისათვის ნორმარული პიგმენტაციის უქონლობა. **90**. დონელი კაზაკი, რომლის გმირობა გლინკას ოპერაშიც კი აისახა. **91**. რგოლისებური მარჯნის კუნძული, რომლის შუაში მოქცეულია ლაგუნა. **92**. თლილი ალმასი. **95**. ანდრეი ტარკოვსკის ფილმეპოპეის მთავარი პერსონაჟი, რუსი მხატვარი. **97**. ამ ბიზნეს-პერსონაჟის ფუნქციას ძველ თბილისში კინტო ასრულებდა. **98**. საზოგადოებრივი განვითარების დონე. **103**. პროსაბჭოური სივრცის სასწავლო დაწესებულება. **104**. უმეტესწილად მოზარდი ბიჭუნების ეპითეტი. **105**. ერთ-ერთი ბაქოელი კომისარი. **106**. თანამედროვე კოსმონავტიკის ფუძემდებელი, რუსი ფიზიკოსი. **108**. ე.წ. „პირადი იარაღი". **111**. ქართველი დიდოსტატი მოჭადრაკე, რომელიც ერთ დროს ესპანეთის ნაკრებს წვრთნიდა. **112**. თერმოდინამიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი (კლაპეირონთან და კლაუზიუსთან ერთად). **116**. მწერთა სამყაროს ვამპირი. **117**. ჯუზეპე გარიბალდის რომანი. **118**. მახრჩობელა გველის სახეობა. **123**. სპარსული სიტყვა, რომელიც ძველ ქართულში სინდისის სინონიმად ისმარებოდა. **124**. თიანეთის რაიონის გეოგრაფიული რეგიონი. **125**. (ქალბატონი) კოკაია-ფანჯიკიძე, გერმანელი ლიტერატურის ცნობილი მთარგმნელი. **126**. მასშტაბური ზომების ფერწერული ქმნილება.



# ფანტაზიორი

გთავაზობთ 12 კითხვას, რომელთა საშუალებით და თქვენი ფანტაზიის მოშველიებით შეგეძლებათ საკუთარი ცოდნა-განათლების დონის განსაზღვრა; რუბრიკას უძღვება ვახტანგ ელერდაშვილი. პასუხები იხილეთ მე-15 გვერდზე;

1) გთავაზობთ ნაწყვეტს შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან:

„ამბობენ, როცა ახალ წლის ღამეს,
როცა მღერიან და ღვინოს სვამენ,
ცად იმართება სხვა კარნავალი
და ღვთის წყალობით ხედავს მრავალი,
ყმაწვილია თუ ომგამოვლილი:
ვილაცა კაცი თმებდათოვლილი
როგორ მიუძღვის ვარშავის ცაზე
პაწია ანგელოსების რაზმებს"

**ვის მიუძღვნა პოეტმა ეს ლექსი? (10 ქულა)**

2) ერთხელ ამ ლიტ. პერსონაჟმა იმისათვის, რომ თავისი მისწრაფებების ბუნებრივობა დაესაბუთებინა, ასეთი არგუმენტი მოიტანა ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრებიდან:

„ბეატრიჩე 9 წლის იყო, როდესაც იგი დანტეს შეუყვარდა...

პეტრარკას როდესაც ლაურა მოეწონა, ლაურა 12 წლის იყო...

ვირჯინია კლემი კი 14 წლის იყო, როდესაც ედგარ ალან პომ ცოლად შეირთო".

**ალბათ ძნელია ამ ლიტ. პერსონაჟის გახსენება, მისი სატრფოს სახელი კი კარგადაა ცნობილი, რადგან ავტორმა ის რომანის სათაურად აქცია... (12 ქულა)**

3) პროფ. იუშკევიჩის აზრით „ევროპის მათემატიკური აზროვნება ექვს საუკუნეს მოიგებდა, დროულად რომ გასცნობოდა ამ ადამიანის ტრაქტატებს; მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი იყო თავისი დროის უდიდესი მოაზროვნე, მათემატიკოსი და ასტრონომი, იგი XIX-XX საუკუნის ევროპასა და ამერიკაში ვინმე ინგლი-სელის, ედვარდ ფიცჯერალდის წყალობით იქცა ლოთობისა და აღვირახსნილობის სიმბოლოდ.

**ვინ იყო ეს კაცი? (5 ქულა)**

4) 1984 წლის 23 აპრილს (ვინმე) მარგარეტ ჰეკლერმა გააკეთა განცხადება ახალი აღმოჩენის თაობაზე, რაც დღეს მთელ კაცობრიობას შავ ჭირად მოევლინა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აღმოჩენა გაკეთდა 23 აპრილს, დღეს მთელი მსოფლიო ამ მოვლენასთან ბრძოლას სხვა დღეს უკავშირებს.

**მაინც რომელ დღეს? (6 ქულა)**

5) დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი თავის მემუარებში წერს:

„ევროპის სხვადასხვა კუთხეში ორი თვის ხეტიალის შემდეგ ჩავედი შვეიცარიაში – კლარანსში, ჟენევის ტბის ნაპირას, სადაც ამ დროს ჩემიანები ცხოვ-რობდნენ... აქვე, კლარანსში, დავიწყე ჩემი „მკვდართა კუნძული", რომელიც ისევე, როგორც სხვა ჩემი ნაწერები, არასდროს დასაბეჭდად განზრახული არა მქონია და არცა მაქვს. ამ დრა-მატულ პოემას დიდი გატაცებით ვწე-რდი, მით უფრო, რომ ვწერდი იმავე მერხზე მჯდომი და იმავე ჭადრის ქვეშ, ტყისპირად, სადაც ეს ცნობილი მწერალი წერდა ამ ცნობილ რომანს".

**რომელი მწერლის რომელი რომანი ჰქონდა მხედველობაში კოტე მარჯანიშვილს? (10 ქულა)**

6) ამ ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რაც შეიძლება ბევრი ფულის მოხვეჭა, იყო. „იმისათვის რომ შეიგრძნო ეს ცხოვრება, საჭიროა იყო მულტიმილიონერი" – ამბობდა იგი. ამიტომაც მისმა კოლეგამ და მეგობარმა ანდრე ბრეტონმა მისი სახელის შემადგენელი ასოებისაგან შექმნა ფრაზა „avida dollars", რაც ქართულად „ფულს მოწყურებულს" ნიშნავს. ადრესატს კი ეს ფრაზა ისე ძალიან მოეწონა, რომ საკუთარი ცხოვრების დევიზად გაიხადა.

**ვინ იყო ეს ადამიანი? (7 ქულა)**

7) ამის გაკეთება ვინმე კარაკოზოვმა 1866 წელს სცადა და არაფერი გამოუვიდა, რის შემდეგაც იგი სიკვდილით დასაჯეს. 1881 წელს ეს წარმატებით შეასრულა ვინმე გრინევიცკიმ, რომლის განხორციელების დროსაც იგი სასიკვდილოდ დაიჭრა.

**რის გაკეთებას ცდილობდნენ ეს ადამიანები? (5 ქულა)**

8) **რა არის იმის მიზეზი, რომ რეკლამამწიკერები ცდილობენ არ გამოიყენონ თეთრი ფერი აზიაში, ძოწისფერი — ბრაზილიაში, ყვითელი — მექსიკაში, შავი — რუსეთში და ა.შ. (8 ქულა)**

9) არსებობს ორი მშვენიერი ქართული ფილმი – „შეწყვეტილი სიმღერა", რომელიც უფრო მეტად უფროსი თაობის ადმიანებს ახსოვთ (სიმღერა - „ჩიტი გვრიტი მოფრინავდა") და ფილმი – „რაჭა ჩემი სიყვარული", რომელიც ყველას კარგად გვახსოვს (სიმღერა – „მიექიმე, ექიმობა მადლია, დაილოცოს შენი სოფლის ნათლია").

**რა აღარ აერთიანებს ამ ორ ფილმს 1993 წლის 1 იანვრიდან? (10 ქულა)**

10) ფსიქოლოგებმა გამოთვალეს, რომ ქალს უცხო მამაკაცის შესაფასებლად მხოლოდ 45-წამიანი მზერა სჭირდება:

– 10 წამი ხმარდება მამაკაცის საერთო აღნაგობის შეფასებას;

– 8 წამში მამაკაცის თვალების შესწავლა ხდება;

– 7 წამი საჭიროა თმებზე დასაკვირვებლად;

– 10 წამი ბაგეებისა და ნიკაპის დათვალიერებაზე იხარჯება;

– 5 წამი მხრებისთვისაა განკუთვნილი;

...ხოლო ის, რის მოძიებასაც ქალი უკანასკნელ 5 წამს ანდომებს, შეიძლება მამაკაცს გააჩნდეს ან არ გააჩნდეს...

**რა არის ეს უკანასკნელი? (7 ქულა)**

11) 1922 წელს ერთმა დანიურმა გაზეთმა ამცნო თავის მკითხველებს:

„ყველა გულშემატკივარისათვის ცნობილ ჩვენს საყვარელ ფეხბურთელს..... ნობელის პრემია მიენიჭა"

**ვინ იყო ეს ფეხბურთელი? (9 ქულა)**

12) პაბლო პიკასო – 290, ჟოან მირო – 260, მარკ შაგალი – 220, სალვადორ დალი – 128, ალბრეხტ დიურერი – 116.

ამ სიაში მოხვედრა და მაღალ ადგილზე განთავსება ყოველი მხატვრისათვის საპატიო საქმეა... თუმცა სიაში შესწორების შეტანა სულ არ არის დამოკიდებული თავად მხატვრის მცდელობაზე...

**ვის მცდელობაზეა დამოკიდებული ეს? ( 11 ქულა)**

**5-10 ქულა** – დამწყები „ფანტაზიორისათვის" დასაშვები შედეგია.

**11-30 ქულა** - გირჩევდით მეტი და მეტი მხატვრული თუ სპეციალური ლიტერატურა გეკითხათ.

**31-50 ქულა** – თქვენი ცოდნის დონე საკმაოდ მაღალია.

**51-70 ქულა** – თქვენი ინტელექტუალური დონე საშუალოზე მაღალია და ეს თავისთავად მრავლისმეტყველია.

**71-80 ქულა** – ამგვარი შედეგი სრულ უფლებას გაძლევთ, რომ სატრაბახოდ გაიხადოთ საქმე.

**81-90 ქულა** – თქვენ დიდი ცოდნისა და ფანტაზიის ადამიანი ბრძანდებით.

**91-99 ქულა** – ჩვენ რეკომენდაციას გიწევთ, რომ ნებისმიერი რანგის „ზნატოკების" სიაში ჩაეწეროთ.

**100 ქულა - O-La-La!!! O-La-La!!!**



ეს კროსვორდი მხოლოდ ქართული სიტყვებით (მარტივით თუ რთულით) შევადგინეთ; მართალია, ზოგი მათგანი აღმოსავლური წარმოშობისაა, მაგრამ უკვე გაქართულებულია და ამდენად ჩვენი ენის კუთვნილებად მივიჩნიეთ.

თარაზულად 1. შედგენილი სიტყვა, რითაც ვაჟა-ფშაველამ ბუნების მესაიდუმლე ერთი პირი დაახასიათა. 7. მართალია, ეს სიტყვა სპარსულია („სეფაჰ"), მაგრამ გაქართულებულია და ადრე „ლაშქარის" სინონიმად იხმარებოდა. 9. ეს სიტყვა თურმე ტალახის, ლამის სინონიმი ყოფილა... ჩვენც „განმარტებით ლექსიკონში" წავაწყდით... შემთხვევით. 10. შედგენილი სიტყვა, რომელიც თავშეკავებულად მეტყველისათვის შეიქმნა ჩვენს ენაში. 11. ადრე თბილისში ასეთი თამაში არსებობდა – წინდაში მარცვლეულს ვყრიდით და ვკენწლავდით ხოლმე... სახელი კი რატომღაც თბილისის ერთი გარეუბნის „საპატივცემლო" ერქვა... რა თამაში იყო ეს, თუ იცით? 12. მზერის დასახასიათებელი სიტყვა, რომელიც მომზირალსა და სამზირალს შორის ერთგვარი კუთხის არსებობას გულისხმობს. 14. რბილი გლუვი ხაოს მქონე ამრეშუმის მკვრივი ქსოვილი. 15. გამდინარე წყალი. 16. უძველესი ქართული სიტყვა, რომელიც დიდი გრიგოლის მშობლიური გარემოს ადგილის სახელად იქცა. 20. საბრძოლო შეხლა-შემოხლა. 21. მჭედლის სამუშაო ინვენტარი. 25. სწრაფი ცხენი. 27. ბევრი ღორი. 28. ფსიქიური შეტევის სახესხვაობა. 29. მაისის ყვავილი. 30. სავაჭრო დანიშნულების დროებითი ნაგებობა. 33. სხეულის უკანა ნაწილი. 34. პატარა კატა. 35. გეომეტრიული ფიგურა. 38. დალაქის ინვენტარი. 42. რთული სიტყვა, რომელიც ერთი ძვირფასი ლითონისა და ნაქარგობის შეერთებითაა მიღებული. 44. დასავლელქართველთა საცხოვრებელი სახლის დამხმარე ნაგებობა. 45. ფუჭი, უშედეგო, ანუ როგორი? 46. ერთი მთლიანი ფართის გამყოფი გადასატანი საშუალება. 47. გულუბრყვილო და პატიოსანი ანუ როგორი?

შვეულად 1. ამ რთული სიტყვით საკუთარ თავში ჩაკეტილ ადამიანს ვახასიათებთ ხოლმე. 2. ეს რთული სიტყვა კი კარგად მეტყველისათვის გამოვიგონეთ. 3. ქართული მინერალური წყალი. 4. ბევრი თხა. 5. მარტის ყვავილი. 6. ბალახეული მცენარე. 7. რბილი ლითონი. 8. გამოუწვავი აგური. 10. სიტყვა, რომლის შემორჩენამ ფაქტიურად ქართული ვალუტის სახელის შექმნა განაპირობა. 13. (კიდევ ერთი) სამჭედლო ინვენტარი. 17. ობობას შრომის „პროდუქტი". 18. კაცი, რომელსაც უხამსი ლაპარაკი „ურჩევნია სულსა, გულსა". 19. სახის ნაწილი. 22. ცალ ფეხზე ხტომა. 23. საჭიდაო ილეთი. 24. ძალიან მაღალი და ძლიერი. 26. უკიდურესი უკმაყოფილების გამოვლინება. 31. ქათმისებრთა ოჯახის მოზრდილი ფრინველი. 32. როგორი ხაჭაპური შეიძლება არსებობდეს? 33. ადამიანის ფსიქიურ-სულიერი სამყაროს ფენომენი. 36. მარდი და ყოჩაღი (ძველი სიტყვა). 37. სისხლის თეთრი ბურთულების წარმომშობი ორგანო. 39. თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარი პატარა რგოლი. 40. ძლიერი წუხილი. 41. ციური მოვლენა. 43. ძველი პურისათვის დამახასიათებელი რამ.

# წინ აღვუდგეთ

## ინგლისური ენის ინტერვენციას!

ამ საკითხის შესახებ საუბარი, ალბათ, არც ღირს საკროსვორდო დანიშნულების გაზეთში, მაგრამ რაკილა გვირეკავენ და გვსაყვედურობენ, რომ ჩვენი „თხზულებები" ზედმეტადაა გადატვირთული უცხოენოვანი ლექსიკით, როგორც ჩანს, ეს საკითხი ჩვენი მკითხველების გარკვეულ ნაწილს აღელვებს, ამიტომაც განვმარტავთ:

– უცხოენოვანი ლექსიკა ყოველი ენის განვითარებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს; ამ სიტყვების შემოტანა, როგორც წესი, გარკვეული საჭიროებითაა გამოწვეული და მხოლოდ იმ შემთხვევაშია მათი დანერგვა მისაღები, როცა ენობრივ გარემოში შემოდის იმგვარი ცნება, მოვლენა ან საგანი, რომლის შესატყვისი ადგილობრივ ენას არც აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

დღეს დიდი ინტენსიურობით შემოდის ჩვენს ენაში (და არა მარტო ჩვენს ენაში) ე.წ. კომპიუტერული ლექსიკა, რომელიც, რა თქმა უნდა, ინგლისური ენის ბაზაზეა შექმნილი. ახლა ჩვენ რომ ავდგეთ და ამ სპეციფიურ სიტყვებს ქართული შესატყვისები შევუქმნათ, ეს, რა თქმა უნდა, ისეთივე წარუმატებელი მცდელობა იქნებოდა, როგორც ერთ დროს, როცა შეეცადნენ ვაგონისთვის რონოდა ეწოდებინათ, კრანისთვის - ბროჭი და ა.შ. და ა.შ.

ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენ ერთგვაროვანი და გამოკვეთილი პოზიცია გვაქვს – უცხო სიტყვების დამკვიდრება პროგრესით გამოწვეული იძულებითი ღონისძიებაა; რა თქმა უნდა, არის იმის საშიშროება, რომ პროგრესმა შეიძლება მთლიანად შეიწიროს ენის ლექსიკური მარაგი, მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, ამაო შიშია, რადგან თავად პროგრესი ძალზედ არაერთგვაროვანი და გეოგრაფიულად ცვლადი მოვლენაა; დღეს ინგლისურმა ლექსიკამ თითქმის მთლიანად განდევნა აღმოსავლურ-რუსული წარმოშობის, შინაარსობლივად უკვე უსარგებლო სიტყვები... ასე რომ, ჩვენს ენაში უცხო სიტყვათა პროცენტული ოდენობა თითქმის იგივე დარჩა...

## უბედურება სხვა რამ არის:

ამასწინათ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე შესანიშნავად გაწყობილ-გაპრიალებულ „მარკეტში" შევედი; ჩემს წინ ინგლისურად მოლაპარაკე გოგონები იდგნენ და მათს მშობლიურ ენაზე შესრულებულ წარწერებს ათვალიერებდნენ, რომლებითაც უხვად იყო აჭრელებული ჩვენებური საქონელი. დახლს იქითაც ჩვენებური ქალბატონი იდგა და გაშტერებული აცქერდებოდა იმ ინგლისელ გოგონებს, რომლებიც ჩუმად ქირქილებდნენ, რადგან კომპიუტერული ტექნიკით ლამაზად და ხარისხიანად შესრულებულ წარწერებსა და ეტიკეტებზე უხვად ამჩნევდნენ ენობრივ შეცდომებს, რაც, როგორც ჩანს, მათში, მხიარულებასთან ერთად, შეურაცხყოფის გრძნობასაც იწვევდა. უცებ ერთმა მათგანმა იკითხა - ინგლისურად თუ ლაპარაკობსო ვინმე. გამყიდველიც და მისი „ხაზეინიც" ყურებამდე გაიკრიჭნენ და მოწყალების მოლოდინში მიაშტერდნენ „იქაურ" ქალბატონებს... იმ ქალბატონთა ლიდერმა კი ერთი-ორი მწარე სიტყვა თქვა, მისი მშობლიური ენის დამახინჯებისა გამო, რაც, ბუნებრივია, „მარკეტის" მეპატრონეებმა ვერ გაიგეს და ასე გაკრეჭილებმა გააცილეს უცხოელები თავისი დაწესებულებიდან...

....ალბათ, ინგლისური წარწერებიც აუცილებელია ჩვენს საქონელზე, მაგრამ თუ აწერთ, სწორად მაინც დააწერეთ, რადგან ეს წარწერა ამ ენის კარგი მცოდნეებისათვისაა განკუთვნილი, თორემ გურჯაანელისთვის ან წალენჯიხელისათვის სულ ერთია, კროსვორდს Krosvord-ი ეწერება თუ Crossword-ი.

